

შპს გეო-ინდუსტრია ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს გეო-ინდუსტრია
2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს გეო-ინდუსტრია ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	136,299.00	140,644.00	115,603.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	182,467.00	106,593.00	58,367.00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	56,418.00	-	18,670.00
მარაგები	124,810.00	235,915.00	65,787.00
მზა პროდუქცია	19,620.00	18,837.00	16,870.00
სხვა	105,190.00	217,078.00	48,917.00
სხვა მოკლევადიანი აქტივები	27,616.00	27,617.00	27,617.00
სხვა არამატერიალური აქტივები	2,122.00	2,173.00	2,233.00
ძირითადი საშუალებები	2,557,413.00	2,524,709.00	2,490,321.00
სულ აქტივები	3,087,145.00	3,037,651.00	2,778,598.00
ვალდებულებები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	21,595.00	20,550.00	22,300.00
საგადასახადო ვალდებულებები	14,932.00	10,659.00	7,262.00
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	8,346,739.00	8,348,371.00	8,092,773.00
სულ ვალდებულებები	8,383,266.00	8,386,533.00	8,122,335.00
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3,307,785.00	1,889,285.00	612,285.00
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(8,603,906.00)	(7,238,167.00)	(5,956,022.00)
სულ საკუთარი კაპიტალი	(5,296,121.00)	(5,348,882.00)	(5,343,737.00)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3,087,145.00	3,037,651.00	2,778,598.00
სულ მოკლევადიანი აქტივები	27,618.00	27,617.00	27,616.00

დირექტორი
ლ.გამგებელი

შპს გეო-ინდუსტრია ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	2,429,864.00	2,049,208.00
საქონლის გაყიდვიდან	2,429,864.00	2,049,208.00
გაყიდვების თვითღირებულება	(1,567,801.00)	(1,424,373.00)
საერთო მოგება	862,063.00	624,835.00
სხვა საოპერაციო შემოსავალი	510.00	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(924,670.00)	(840,577.00)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(231,742.00)	(153,656.00)
იჯარის ხარჯი	(63,197.00)	(58,994.00)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(1,008,703.00)	(853,753.00)
სულ საოპერაციო ხარჯები	(2,227,802.00)	(1,906,980.00)
საოპერაციო მოგება	(1,365,739.00)	(1,282,145.00)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(1,365,739.00)	(1,282,145.00)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(1,365,739.00)	(1,282,145.00)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(1,365,739.00)	(1,282,145.00)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	(5,348,882.00)	(5,343,737.00)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	1,418,500.00	1,277,000.00
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(5,296,121.00)	(5,348,882.00)

დირექტორი

ლ.გამგებელი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გეო-ინდუსტრია (ს/კ 229650892, შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2006 წლის 12 ივლისს . კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ვაწი, ჭავჭავაძის ქ., #36. კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან

- თეა ნანიტაშვილი (პ/ნ 01026006571) - 85 %;
- ლევან გამგებელი (პ/ნ 01006001017) – 15%

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

დირექტორი - ლევან გამგებელი (პ/ნ 01006001017)

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა,

01250 - სხვა ხილის, კენკროვნების და კაკლისებრების მოყვანა

10510-რძის გადამამუშავება და ყველის წარმოება

01500 - შერეული სოფლის მეურნეობა

46330 - საბითუმო ვაჭრობა რძის პროდუქტებით,კვერცხით და საკვები ზეთებით და ცხიმებით.

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქარ თველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

დირექტორი

ლ.გამგებელი



ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები

ცვეთის დარიცხვა ხდება საგადასახადო მეთოდით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

დირექტორი
ლ.გამგებელი



არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება საგადასახადო მეთოდით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დაწახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

დირექტორი

ლ.გამგებელი



სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია პირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დირექტორი

ლ.გამგებელი



ფული და ფულადი ექვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის, საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული, საქართველოს ეროვნული ბანკის (სეზ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების, კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სეზ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსი როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იყო

ლარი / 1 აშშ დოლარი ----- 2.8068

ლარი /1 ევრო ----- 2.9306

დირექტორი

ლ.გამგებელი

